№ 263 მთავრობის მოამბე

# საქართველოს რესპუბლიკა

ყოველდღიური გაზეთი წელიწადი პირველი

ფასი 1 მან. ხუთშაბათი 20 ნოემბერი 1919 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
„საქართველოს რესპუბლიკა“
მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი, ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალი: № ყველგან 1 მან. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით კერძო განცხადებანი პეტიტით 1 გვერდზე 3 მ., მეოთხეზე 2—50. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82.

## სახელმწიფო თეატრი

ოპერა ს. ი. ცვლახიშვილის ხელმძღვანელობით. სეზონი—1920 წ.

ხუთშაბათს, ნოემბრის 20, **პიკის ქალი.** პარასკევს, ნოემბრის 21 ს მეოთხე გასტროლი პეტროგრადის მუსიკალურ დრამის მსახიობის დავიდოვასი. „სევილიელი დალაქი“. შაბათს, ნოემბრის 22-ს, ოპერა მუშებისთვის „აიდა“. კვირას, ნოემბრის23 ს, დილით „დემონი“, საღამოს „ტოსკა“. 140

## ტფილისის სამხედრო ბინათა დისტანცია

აცხადებს რომ 3 დეკემბერს, ამა წელს თავის კანცელარიაში (ინჟინერის ქუჩა № 2) დანიშნულია შეჯიბრება შეშის და ქვა ნახშირის გადასაზიდათ დიდუბის შეშის საწყობიდან (ანდრიას და ბათუმის ქუჩების კუთხე) სამხედრო უწყებების და ჯარის ბინებში ვადით 1 დეკემბრიდან ამა წლის 1 აპრილამდი 1920 წლ.

ვისაც სურს მიიღოს მონაწილეობა შეჯიბრებაში, უნდა შემოიტანოს განცხადება აღნიშვნით, რა ფასში შეუძლიან გადაზიდვა 1 კუბ. საჟ. შეშისა და 1 ფუთი ნახშირისა. განცხადება მიიღება არა უგვიანეს 2 დეკემბრისა. დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება კანცელარიაში დილის 9 საათიდან 3 საათამდის. 3—2 161

## ოფიციალური განყოფილება.

## დეკრეტი

**ტფილისის საშუალო კულტურ-ტეხნიკურისა, ქუთაისის სასოფლო სამეურნეო და წინამძღვარიანთ-კარის სასოფლო-სამეურნეო სკოლების შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა.**

1. შემოღებულ და დამტკიცებულ იქნეს ამა 1919 წლის იანვრის 1-დან ტფილისის საშუალო კულტურ ტეხნიკურისა, ქუთაისის სასოფლო სამეურნეოსი და წინამძღვარიანთ-კარის სასოფლო სამეურნეო სკოლების შტატი და ხარჯთ აღრიცხვა, რომელიც ამ კანონს ცალკე დამატებად აქვს დართული.

2. გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან ორას ოცდა თორმეტი ათას ოთხას ორმოცდა-თერთმეტი (232,451) მანეთი იმ ხარჯის დასაფარავად, რომელიც გაწეულია პირველ მუხლში აღნიშნულ შტატით და ხარჯთ-აღრიცხვით ამა 1919 წლის იანვრის 1 დან ივნისის 1-დე.

1919 წ. ნოემბრის 4-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ევგ. გეგეჭკორი.

## წინამძღვარიანთ-კარის სასოფლო სამეურნეო სკოლის შტატი

| №№ რიგ. | თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ა. | მოსამსახურეთა რიცხ. | წლიურად. |
|---|---|---|---|
| 1 | სკოლის გამგე | 1 | 7200 |
| 2 | სპეციალი საგნებ. მასწავლებელი | 1 | 6360 |
| 3 | საზოგადო საგნების მასწავლებელი | 4 | 24000 |
| 4 | ხელოსანი (დურგალი) | 1 | 3600 |
| 5 | სკოლის დარაჯი | 1 | 3000 |
| 6 | მებაღე | 1 | 3000 |
| 7 | მწყემსი | 1 | 3000 |
| 8 | მეურმე | 2 | 6000 |
| 9 | ფერმის დამუშავება | — | 3500 |
| 10 | „ შელობვა (მავთულებით) | — | 5500 |
| 11 | სამეურნეო იარაღების შეძენა | — | 3000 |
| 12 | სახელოსნოში იარაღების და სახელოსნო მასალა | — | 4000 |
| 13 | სასკოლო შენობათა შეკეთება | — | 4500 |
| 14 | განათება | — | 1000 |
| 15 | სასკოლო ნივთების და სახელოსნოების შეძენა | — | 3600 |
| 16 | საქონლის შენახვა | — | 3000 |
| 17 | ექსკურსიების მოწყობა | — | 1000 |
| | ს ულ. | — | 85260 |
| | შემოსავალი | — | 12000 |
| | ხაზინიდან უნდა გაღაიდოს | — | 73260 |

1919 წ. ნოემბრის 4-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ევგ. გეგეჭკორი.

**შენიშვნა.** 1. გარდა ამ საერთო ძირითადი თანხისა სახელმწიფოს ხაზინიდან ყოველ წლივ გაღებულ უნდა იქნეს ხუთწლეულები.

## ქუთაისის სასოფლო სამეურნეო სკოლის შტატი.

| №№ რიგ. | თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ა. | მოსამსახურეთა რიცხ. | წლიურად. |
|---|---|---|---|
| 1 | სკოლის გამგე | 1 | 12000 |
| 2 | სპეციალი საგნების მასწავლებელი | 3 | 28800 |
| 3 | ბუნების მეტყველების მასწავლებელი | 1 | 9600 |
| 4 | საზოგადო საგნების მასწავლებელი | 2 | 19200 |
| 5 | მებაღე | 1 | 6000 |
| 6 | ფერშალი (იგივე ეკონომი) | 1 | 7200 |
| 7 | მზარეული | 1 | 3000 |
| 8 | შეგირდების შენახვა (60 კაც იონერი) | — | 90000 |
| 9 | მებუფეტე | 1 | 2400 |
| 10 | დურგალი | 1 | 3000 |
| 11 | მერწყული | 1 | 2400 |
| 12 | გ ზ ი რ ი | 1 | 2400 |
| 13 | საქონლის მომვლელი | 2 | 2400 |
| 14 | წლიური მუშა | 2 | 4800 |
| 15 | სკოლის დარაჯი | 2 | 2400 |
| 16 | მუშების შესანახი ხარჯი | — | 18000 |
| 17 | საოჯახო სხვა და სხვა დარგის ხარჯი | — | 2750 |
| 18 | ფერმის შემოღობვა | — | 2000 |
| 19 | საქონლის შენახვა | — | 4000 |
| 20 | სკოლის მასწავლებელთა ბინების გათბობა | — | 5100 |
| 21 | განათება | — | 1500 |
| 22 | შეკეთება შენობათა და ინვენტარისა | — | 1698 |
| 23 | ბიბლიოთეკის შევსება და სასწავლო ნივთების შეძენა | — | 500 |
| 24 | ტელეფონი | — | 600 |
| 25 | საკანცელარიო ხარჯი | — | 600 |
| 26 | მოსწავლეთა ექსკურსიები | — | 500 |
| 27 | აჯამეთში სასწავლო მეურნეობის გასამართად შესამზადებელი ხარჯი | — | 15000 |
| | ს უ ლ. | 18 | 247848 |
| | შემოსავალი | — | 119000 |
| | ხაზინიდან გადადებულ უნდა იქნეს | — | 128848 |

1919 წ. ნოემბრის 4 ს

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ევგ. გეგეჭკორი.

**შენიშვნა.** 1. მასწავლებლების ჯამაგირის დანიშვნის დროს, მიღებულია მხედველობაში მათი ხელმძღვანელობა პრაქტიკული მუშაობის დროს, მორიგეობა პანსიონში, წიგნთ-საცავის გამგებლობა და მდივნის თანამდებობის ასრულება.

2. გარდა ამ საერთო თანხისა, სახელმწიფოს ხაზინიდან ყველა წლივ გაღებულ უნდა იქნეს ხუთწლეულები.

## ტფილისის საშუალო კულტურ-ტეხნიკური ორ განყოფილებიანი სკოლის შტატი.

| №№ რიგ. | თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ა. | მოსამსახურეთა რიცხ. | გაკვეთილებ. რიცხვი. | წლიურად |
|---|---|---|---|---|
| 1 | დირექტორი | 1 | — | 13800 |
| 2 | ინსპექტორის თანამდებობის ასრულებელი | 1 | — | 10125 |
| 3 | ზოგად განათლების შტატის საგნების მასწავლებელი | 4 | 48 | 21600 |
| 4 | სპეციალი საგნების შტატი მასწავლებელი | 8 | 96 | 43200 |
| 5 | დამატებითი გაკვეთილებისათვის ზოგად განათლების საგნებისა | — | 40 | 14000 |
| 6 | დამატებით გაკვეთილებისათვის სპეციალი საგნებისა | — | 98 | 44100 |
| 7 | ზოგად განათლების საგნებისათვის მოწვეული მასწავლებელი | 2 | 15 | 5250 |
| 8 | სპეციალი საგნებისათვის მოწვეული მასწავლებელი | 13 | 209 | 94050 |
| 9 | მეთვალყურე საშუალო სწავლა დამთავრებული | 2 | — | 10200 |
| 10 | ლაბორანტი უმაღლეს სწავლა დამთავრებული | 2 | — | 12000 |
| 11 | კანცელარიის გამგე | 1 | — | 6000 |
| 12 | კანცელარიის გამგის თანაშემწე | I | — | 5100 |
| 13 | პედაგოგიური საბჭოს მდივანი | 1 | — | 600 |
| 14 | ბიბლიოთეკის გამგე | 1 | — | 600 |
| 15 | სახლის ზედამხედველი | 1 | — | 5625 |
| 16 | ე ქ ი მ ი | 1 | — | 3000 |
| 17 | ფერშალი | 1 | — | 3600 |
| 18 | დაბალი მოსამსახურე | 3 | — | 28800 |
| 19 | სასწავლო სახელმძღვანელოები (კაბინეტები, ლაბორატორიები და სხ.). | — | — | 12000 |
| 20 | სასწავლო ექსკურსიების გასამართად | — | — | 4000 |
| 21 | ზაფხულში პრაქტიკის შემოსაღებად | — | — | 20000 |
| 22 | გათბობა, განათება, წყალი, წვრიმალი შეკეთება | — | — | 12000 |
| 23 | საკანცელარიო ხარჯი | — | — | 1000 |
| 24 | ბინის ქირა | — | — | 20000 |
| 20 | დამატებითი ჯამაგირი მეორე განყოფილებისთვის | — | — | 1290 |
| | ს უ ლ. | — | — | 391940 |
| | შემოსავალი | — | — | 127300 |
| | ხაზინიდან გადადებულ უნდა იქნეს | — | — | 264640 |

1919 წ. ნოემბრის 4-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ევგ. გეგეჭკორი.

**შენიშვნა.** 1. წლიური გაკვეთილის ფასი მიღებულია სპეციალი საგნებისათვის 450 მან. ზოგად საგნებისათვის კი პირველი 12 გაკვეთილის 450 მან., ზედმეტი 350 მან.

2. ნაანგარიშევ ჯამაგირებში შედის წერითი სავარჯიშოს გასასწორებელი ხარჯი და კლასის დამრიგებლის გასამრჯელო.

3. გარდა ამ საერთო ძირითად თანხისა, სახელმწიფოს ხაზინიდან ყოველ წლივ გაღებულ უნდა იქნეს ხუთწლეულები.

# განკარგულებანი

**საქართველოს სენატის თავმჯდომარის.**

№ 20.

**ინიშნება:** პავლე გიორგის ძე გიორგაძე სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის იასაულად 15 ნოემბრიდან 1919 წლისა.

საქართველოს სენატის თავმჯდომარე **დ. ხელთუფლიშვილი.**

—

**საქართველოს სენატისა.**

12 ნოემბერი, 1919 წ. № 3.

**ინიშნება:** ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგი იოსებ დავითის ძე სიდავა იმავე სასამართლოს თავმჯდომარედ 12 ნოემბრიდან 1919 წლისა.

№ 4.

**დათხოვნილია:** თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრი სიმონ ყარამანის ძე ჩხეიძე 12 ნოემბრიდან 1919 წლისა თანახმად მისი თხოვნისა.

საქართველოს სენატის თავმჯდომარე **დ. ხელთუფლიშვილი.**

—

**ტფილისის ქალაქის თავს.**

18 ნოემბერი, 1919 წ. № 1510.

ტფილისის ზედმეტ მცხოვრებთაგან განთავისუფლების შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს დადგენილების ცხოვრებაში გატარების დროს მოსალოდნელია ადგილი ექნეს სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედებას. ამიტომ წინადადებას გაძლევთ გამოუცხადოთ ყველა იმ დაწესებულებებს და პირთ, რომელთაც დავალებული აქვთ ხსენებულ დადგენილების სისრულეში მოყვანა, რომ მე განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებას და ყოველივე სხვა ვარი ამა თუ იმ ბოროტ-მოქმედების შესახებ, რომელიც ჩემამდის მოაღწევს, სასწრაფოთ იქნება ჩემ მიერ გამოძიებული და დამნაშავენი სასტიკათ დაისჯებიან.

მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

## არა ოფიციალური განყოფილება

# მთავრობაში

**დეპეშა მთავრობის თავმჯდომარეს ხობიდან:**

16 ნოემბერს ნოჯიხევის მრავალ რიცხოვანმა კრებამ მოისმინა მოხსენება დამფუძნებელ კრების წევრისა ალექსანდრე ჩიქავასი, გულწრფელ სალამს უძღვნის და უსურვებს გამარჯვებას ხალხის უფლებების გამომხატველ დამფუძნებელ კრებას და მთავრობას, და მზათაა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვას რესპუბლიკა. თავმჯდომარე იოხავა.

# იუსტიციის სამინისტროში

**ბოლშევიკების საქმის გამოძიებისათვის.**

გორში გაემგზავრა ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრი მ. ორჯონიკიძე, რომელსაც დავალებული აქვს გორის მაზრაში ბოლშევიკების აჯანყების საქმის გამოძიება. იქვე გაიმგზავრა იმავ საქმეზე ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგი მ. კანდელაკი.

ქუთაისის გუბერნიაში ბოლშევიკების აჯანყების საგანგებო გამომძიებლად დანიშნულ ოლქის სასამართლოს წევრს მ. ქეიშვილს იუსტიციის სამინისტროს მიერ წინადადება მიეცა პირველ ყოვლისა გურიაში გაემგზავროს იქ მომხდარ გამოსვლების ადგილობრივ გამოსაძიებლად.

ლაგოდეხიდან ტფილისის სასამართლო პალატის პროკურორი მ. ა. ლატიშვილი დეპეშით აცყობინებს იუსტიციის სამინისტროს, ადგილობრივ ადმინისტრაციის და მცხოვრებთა ენერგიული დახმარება საშუალებას აძლევს სასამართლოს მოხელეებს ბოლშევიკების გამოსვლის საქმის გამოძიება დაამთავრონ ნოემბრის 20-სათვის.

**საგამომძიებლო საქმის მოწესრიგებისათვის.**

იუსტიციის დეპარტამენტის მმართველის გ. თ. ჟორდანიას წინადადებით, ტფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილებათა საზოგადო კრების განსახილველად შეტანილ იქმნა საკითხი საგამომძიებლო ნაწილის მოსაწესრიგებლად სწრაფ და ენერგიულ ზომების მიღებისა. სასამართლოს განყოფილებათა კრებულმა დაადგინა სასამართლოს წევრებს შორის გაანაწილოს საგამომძიებლო უბნები და დაავალოს არჩეულ წევრებს გამომძიებელთა კამერების სისტემატიური დათვალიერება და ხელმძღვანელობა.

**საგარეჯოში მომრიგებელ მოსამართლის კამერის გახსნისათვის.**

საგარეჯოს თემის ერობამ დეპეშით აცნობა იუსტიციის სამინისტროს, რომ მისი განკარგულება ადგილობრივ მომრიგებელ მოსამართლისთვის ბინის აღმოჩენის შესახებ უკვე შესრულებულია. ამისდაკვალად სამინისტრომ წინადადება მისცა საგარეჯოს მომრიგებელ მოსამართლედ არჩეულს ნ. ბერძენიშვილს დაუყონებლივ გაემგზავროს საგარეჯოში და გახსნას იქ კამერა არა უგვიანეს ნოემბრის 25-ისა.

**გემ „მარიას“ მგზავრების გძარცვის საქმე.**

გემ. „მარიაზე“ მგზავრების გაძარცვის საქმის გამოძიება დამთავრების პროცესშია. როგორც ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორი დეპეშით აცნობს სამინისტროს, საქმის დასაბოლავებლად საჭიროა მხოლოდ ზოგიერთ გარემოების გამოკვლევა ბათუმში და ოზურგეთში, რისთვისაც ადგილობრივ იგზავნება ამ დღეებში საქმეთა გამომძიებელი დევიძე. ამ საქმეზე სამართალში მიცემულია 22 კაცი, ყველანი დაპატიმრებული არიან. უკვე დაკითხულია 60 დაზარალებული.

# შინაგან საქ. სამინისტროში.

შაბათს. საღამოს ექვს საათზე შინაგან საქმეთა მინისტრის კაბინეტში დანიშნულია კრება იმ ახალგაზრდებისა, რომელნიც იგზავნებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყების მიერ. დასწრება სავალდებულოა.

—

# დამფუძნებელი კრება

**18 ნოემბრის სხდომა.**

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

**ს. მდივნის** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სამხედრო უწყების განკარგულებაში 15 მილ. მანეთის გადადებისა ჯარისათვის სურსათ-სანოვაგის დასამზადებლად.

**ივ. ქავთარაძის** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი საშემოსავლო გადასახადისა, საცხოვრებელ მინიმუმისა და გადასახადის ნუსხის პარაგრაფების შეცვლისა.

**დეკრეტი ანარქიის წინააღმდეგ ზოგიერთ საბრძოლველ ზომისა.**

მომხსენებელი **ს. ჯაფარიძე** აღნიშნავს, რომ ჩვენში ანარქია ძლიერია, მთავრობა ამ ანარქიას ებრძვის უმთავრესად სასამართლოს საშუალებით, მაგრამ სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ანარქიის მთავარი ხელმძღვანელნი, ინტელიგენტური ძალები ძალიან იშვიათად ვარდება ხელში სასამართლოს, ისინი ახერხებენ სასამართლოს ხელიდან გასხლტომას. ამიტომ მთავრობა თხოულობს, რომ მას მიეცეს უფლება ადმინისტრატიული ზომებით ებრძოლოს იმ ელემენტებს, რომლებიც ჩვენში ანარქიას იწყობენ და ჩვენ დამოუკიდებლობას ებრძვიან. ასეთები არიან უმთავრესად პოლიტიკური ჯაშუშები, უცხოელები.

უცხოელებს ყველგან შეუძლიანთ ცხოვრება ამის უფლება ჩვენშიაც აქვთ, მაგრამ არსად, არც ერთ სახელმწიფოში უცხოელებს არა აქვთ უფლება ამ სახელმწიფოს წინააღმდეგ გასწიონ აგიტაცია. ამ უფლებას ჩვენ ვერ მივსცემთ უცხოელებს, ამიტომ ჩვენ გვინდა, რომ მიღებულ იქნეს ზომები იმ უცხოელთა საქართველოდან გასაძევებლად, რომელთა მოქმედება სახელმწიფოებრივის თვალსაზრისით საზიანოთ იქნება ცნობილი. რაც შეეხება ჩვენ მოქალაქეებს, ისინიც თუ ზედმეტად იქნებიან მიჩნეულნი ქალაქში, უნდა წარიგზავნენ სხვა და სხვა ადგილას. აი ამ მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტრომ წარმოგიდგინათ ეს დეკრეტი (კითხულობს დეკრეტს).

**ლ. შენგელაია** (ს.-რ.) აღნიშნავს, რომ ეს დეკრეტი სრულებით არ გამომდინარეობს იმ მოხსენებიდან, რომელიც ამას წინეთ შინ. საქ. მინ. წაიკითხა დამფუძნებელ კრებაზედ. მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ ჩვენ სავსებით გამოვარკვიეთ ხასიათი მოძრაობისა, ვიცით თუ რის გაკეთება სურთ და რას აკეთებენო. თუ ეს ყველაფერი იცით, ბატონებო, მაშინ რა საჭიროა აქ განსაკუთრებულ ზომებზე ლაპარაკი—ამბობს ორატორი. მაგრამ მაგარი ის არის, რომ თქვენ არ იცით, ის მთავარი მიზეზები, რომლებმაც ნიადაგი გაუმზადეს ჩვენში ანარქიას: ეს არის საშინაო პოლიტიკის უვარგისობა.

დეკრეტი თხოულობს სრულ თვინებობის დაკანონებას. გარდა ამისა ეს დეკრეტი უმთავრესად ეხება უცხო ელემენტებს. ვინაიდან ჩვენი მდგომარეობა ასე თუ ისე დამოკიდებულია იმაზე, გვიცნობენ თუ არა უცხოელები, ამ დეკრეტის მიღება შეუძლებელია. ეს დეკრეტი ხელს შეუწყობს ანარქიის გაძლიერებას, ეს გაამრავლებს იმათ რიცხვს, ვინც გვებრძვის ბოლშევიკების, დენიკინის სახით ამ დეკრეტში არის ერთი მუხლი, რომელიც მიმართულია რუსი ესერების და მენშევიკების წინააღმდეგ, თითქოს ისინი მოქმედებენ რუსეთის ცენტრალური ორგანოების დირექტივებით ეს ასე არ არის. რუსეთის ს.-რევ. და მენშევიკები სიმპატიით ეპყრობიან ჩვენს დამოუკიდებლობას, ამას ამტკიცებს ლიუცერნის კონფერენციაზე მიღებული რეზოლუცია (ხმები: ეს არგუმენტი აქაურ რუს ესერების და მენშევიკების საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს). ამ პარტიებს გონიათ, რომ ჩვენს დამოუკიდებლობას არ იცნობენ, და როცა იცნობენ, ისინი მაშინათვე მოსპობენ თავიანთ ორგანიზაციებს, მე ამის დამამტკიცებელი კერძო ცნობები მაქვს. ყველა ამ მოსაზრებათა გამო ჩვენი ფრაქცია წინააღმდეგია ამ დეკრეტისა.

**მუხრან ხოჯაშვილი** (ს.-დ.) ამტკიცებს რომ, ამ დეკრეტს აქვს წმინდა პოლიტიკური ხასიათი. საკითხი სავსებით ნათელი და აშკარაა. ამის გარშემო არავითარი კამათი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ბ. შენგელაიამ მაინც ილაპარაკა და მოიყვანა ისეთი დებულებები, რომლებსაც ნაკლებათ აქვთ კავშირი წარმოდგენილ დეკრეტთან.

აქ წამოყენებულია ორი ბრალდება: ერთი ვითომ ჩვენ ვზღუდავთ ზოგიერთების თავისუფლებას და მეორე—სოც. დემოკრატია გაშოვინისტდა და სდევნის თავის საზღვრებიდან. ჩვენ და საქართველოს დემოკრატიას არ ესმის თავისუფლება, როგორც თავაშვებული რამ, ეს ველური თავისუფლება იქნებოდა, თავისუფლება უნდა თავსდებოდეს სახელმწიფოში არსებულ უფლებრივ ნორმების ჩარჩოებში. თქვენ ვერ დამისახელებთ ისეთ ქვეყანას, სადაც ასეთი ველური თავაშვებული თავისუფლება იყოს. (ასათიანი ადგილიდან: საბჭოეთში) საქართველოს დემოკრატიას თავისუფლება ესმის, როგორც ორგანიზაციული შეკავშირება და ისე მოქმედება უფლებრივ ნორმების ფარგლებში. მეორე მომენტი—სოც. დემოკრატია გაშოვინისტდაო, ამას თქვენ. ვერავინ ვერ დაგიჯერებთ. ქართველმა ხალხმა არა ერთხელ და ორჯელ დაამტკიცა თავისი ინტერნაციონალისტობა, ჩვენ რუსეთს კი არ ვებრძვით და ვდევნით, პირიქით, როცა აღსდგება ნამდვილი რუსეთი, რომელიც ჩვენს დამოუკიდებლობას იცნობს, ამისთანა რუსეთს ჩვენ პირველად გაუწვდით ხელს.

ქართველმა ხალხმა დაამტკიცა თვისი ინტერნაციონალისტობა, მან ამ ინტერნაციონალიზმს ფაქტიათ შეუკავშირა ეროვნული იდეა.

ამ დეკრეტით ჩვენ ვებრძვით ჩვენი თავისუფლების და დამოუკიდებლობის მტრებს. ამ მხრივ ჩვენი ფრაქცია ავალებს მთავრობას ავალებს ისარგებლოს ამ დეკრეტით და შეებრძოლოს ყველა მათ, ვინც ძირს უთხრის ჩვენს დამოუკიდებლობას.

(დასასრული იქნება)

—

# გვარდიის მთავარ შტაბში

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს შემდეგი დეპეშა მოუვიდა სოხუმიდან: „სოხუმის ოლქის გვარდიელთა საერთო კრებამ მოისმინა მოხსენება მომენტის შესახებ და ფიცს იძლევა, რომ ის არ შეარცხვენს იმ წითელ დროშას, რომლის ქვეშაც იბრძოდა აქამდე. სალამი თქვენ, რევოლიუციის საუკეთესო შვილებო.

თავმჯდომარე მ. მგელაძე. მდივანი ე. კლდიაშვილი.

—

**ოზურგეთიდან:** ჩოხატაურის რაიონში ბოლშევიკური ბრბოები სრულ მორჩილებას აცხადებენ. გუშინ ჩაგვაბარეს 2 ტყვიისმფრქვეველი. სხვა რაიონებში სრული ლიკვიდაცია მოხდა. **ბაქუნაიშვილი**

# შრომისა და მომარაგების სამინისტროს სავალდებულო დადგენილება

მიუხედავად იმისა, რომ გავიდა ვადა ანკეტით მუშათა და მოსამსახურეთა მიერ შევსებულ ბარათების წარმოდგენისა, ზოგ სახელმწიფო დაწესებულებას და კერძო საწარმოოს დღემდე ბარათები არ დაუბრუნებია, ამით ცხადდება, რომ მათ ეძლევათ კიდევ სამი საშეღავათო დღე. იმ დაწესებულებათა უფროსები და საწარმოო გამგენი ან პატრონნი, რომლებიც 24 ნოემბრამდე არ წარმოადგენენ შევსებულ ბარათებს, სამი თვით დაპატიმრებული იქნებიან, ან დაჯარიმებული 10,000 მან.

შრომისა და მომწოდებელ მინისტრის ამხანაგი. **ა. ბახტაძე.** 141 1—1

# დამფუძნ. კრების კომისიაში

**ბინების ფასების დაწესების შესახებ.**

დამფუძნებელ კრების თვითმართველობის კომისიას გადაეცა კანონ-პროექტი ბინებზე უკიდურეს ფასის გადიდების შესახებ. კომისია მას განიხილავს ქალაქის თვითმართველობათა წარმომადგენელთა მონაწილეობით 22 ნოემბერს.

**რკინის გზის ადმინისტრაციისთვის**

დამფუძნებელ კრების გზათა კომისიამ მოიწონა გზათა მინისტრის პროექტი დეკრეტისა სახაზინო რკინის გზათა ადმინისტრაციის პერსონალისთვის ჯამაგირის მომატების შესახებ. ამ დეკრეტის მიხედვით მინისტრის განკარგულებაში სახელმწიფო ხაზინიდან უნდა გადაიდოს 14,766 მან. ხსენებულ ხარჯებისათვის.

**ზედნახარჯის ასანაზღაურებლად**

დამფუძნებელ კრების გზათა კომისიამ მოიწონა სახაზინო გზების 1918 წლის ზედნახარჯის დასაფარავათ 52,284,920 მან. გადადების შესახებ.

—

# უცხოეთში წამსვლელთათვის

იტალიის სამხედრო მისია ამიერ-კავკასიაში აუწყებს საზოგადოებას მგზავრების გადასაყვანათ ქვემოთ აღნიშნულ პირობებს, მიღებულს სანაოსნო საზოგ. „ტრიესტკი ლოიდ“. შემდეგ ხაზზე: ბათუმი—ტრაპეზუნდი—სტამბოლი—ტირანტო (ყოველკვირეულად) და მეორე ხაზზე: ბათუმი—ფოთი—ნოვოროსისკი—ოდესა—კონსტანცა—ვარნა—ბურგაზ—სტამბოლი (თითეულ ორ კვირაში). სამგზავრო ფასი ბათუმ—ტრაპეზუნდ—სტამბოლ—ტარანტოს ხაზზე; ბათუმ—ტრაპეზ.—I კლ. 50 ფრ., ოქრო, I—35 ფრ., III—20 ფრ.; ბათუმ—სტამბოლი I—კლ. 360 ფრ. II—220 ფრ; III—110 ფ., ბათუმ—ტარანტო—I—760 ფრ., II 470 ფ; III—კლ. 235 ფრ;

**კაიუტები „ლუქს“**

ბათუმ—სტამბოლი—500 ფრ; ოქ. თითეულ საწოლ ადგილზე. ბათუმი—კონსტანტინ. 300 ფრ; მთელი კაიუტა. ბათუმი—ტარანტო 1200 ფრ; თითოეულ საწოლ ადგილზე.

ბათუმი—ტარანტო—1600 ფრ; მთელი კაიუტა. შენიშვნა. 1) სამგზავრო ფასი საზღვარგარეთიდან ტარანტომდე ნაანგარიშევია ფრანგულ ოქროს ფრანკებით. 2. მეს მე კლასის ბილეთის ფასში არ შედის სასმელ—საჭმელი. 3. არ მიიღება ბილეთი იქეთ—აქეთ. 4. ბავშვები, 5 წლამდე უფასოთ მგზავრობენ; 5 წ. 10 წლამდე იხდიან ბილეთის ნახევარ ფასს; 10 წლ. ზევით კი მთელი ბილეთის ფასს იხდიან. 5. დასატვირთავი და გადმოსატვირთავი ხარჯები ვალდებულია გადიხადოს გამგზავნმა ან მიმღებმა.

სამგზავრო ფასი ბათუმ-ოდესა-სტამბოლის ხაზზე:

ბათუმი—ფოთი—I კლ.—20 ფრ. ოქ., II—15 ფრ., III—10 ფრ., ბათუმ—ნოვოროსისკი I კლ.—165 ფრ., II—100 ფრ., III—60 ფრ., ბათუმი—ოდესა—I—430 ფრ., II—260 ფრ., III—110 ფრ., ბათუმი—კონსტანცა—I—590 ფრ., II—360 ფრ., III—155 ფრ., ბათუმი—ვარნა—I—670, II—415, III—170; ბათუმი—ბურგასი—I—729, II—445, III—170; ბათუმი—სტამბოლი—I—8052 II—500; III—210; ბილეთის საყიდლათ და ადგილის მისაღებათ უნდა მიმართოთ სანაოსნო სააგენტოს „ტრიესტკი ლოიდ“ ბათუმში.

—

# მუნიციპალური ცხოვრება.

სავალდებულო დადგენილება მეეტლებისათვის მიღებული სამტრ. ქალაქის საბჭოს მიერ 15 სექტ. 1919 წ. სხდომა № 18 მუხლი 4 პუნქტისა.

1) მეეტლეები ვალდებულნი არიან მწყობრად დადგნენ ამისთვის დანიშნულ ადგილას (ბირჟაზე) და ეტლი არ მიატოვონ.

2) ქალაქში არსებული ბირჟა: ა) სადგურის უკან ბაღთან, ილიას ქუჩაზე, სადაც მეეტლეები უნდა იდგნენ პირისახით დასავლეთისაკენ და ბ). ხონის ქუჩაზე, ილიას და აკაკის ქუჩების შესართავში.

3) მეეტლეები სადგურის უკან, ილიას ქუჩაზე უნდა იდგნენ სამ წყებათ, მეორეზე კი ორ წყებათ.

4) მატარებლის გამოსვლისას მეეტლეები ერთ წყებათ ჩადგებიან სადგურის გამოსავალთან.

5) შემოსვლა უნდა ხდებოდეს დასავლეთ მხრიდან და გამოსვლა კი აღმოსავლეთიდან.

6) მეეტლეები ვალდებულნი არიან ღამე ფარნები ანთებული იქონიონ.

7) მეეტლეები ვალდებულია ეტლში 5 მგზავრის მეტი არ ჩასვან თუ მას ორი ცხენი ჰყავს შებმული, და თუ მას ერთი ცხენი ჰყავს, იმ შემთხვევაში სამი.

8) მოგზაურობისას მეეტლე ვალდებულია ყოველთვის დაიჭიროს მარჯვენა მხარე.

9) ცხენები შემოწმებული უნდა იქნას ექიმ ვეთერინარისაგან, რომ ისინი გადამდებ სენით არ არიან შეპყრობილნი, და ეტლში შეუძლიათ მუშაობა, ამისათვის ყველა ცხენები შემოწმებული უნდა იქნას წელიწადში ორჯერ მაინც.

10) ყველა ზემოჩამოთვლილი სავალდებულო დადგენილება ვალდებულნი არიან დაიცვან მედროგეებმა, მეკაპეებმა და მედილიჟანეებმა.

11) ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვევნი დაისჯებიან თანახმად 29 მუხლის ძალით სასჯელთა დებულებისა, რომელსაც ადებს მომრიგებელი მოსამართლე.

12) ამ სავალდებულო დადგენილების სისრულეში მოყვანა და თვალყურის დევნება ევალება ქალაქის მილიციას.

# სატარიფო პალატა.

### 17 ნოემბრის სხდომა.

სატარიფო პალატის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ხელფასის ახალი ტარიფები 1 ნოემბრიდან შემდეგი დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეთათვის:

**I. რკინის ჩამოსხმელი კერძო წარმოებისა.**

სპეციალისტ-მუშებისთვის საათობრივ 7 მ. მან. 60 კ—დან 12 მან. 50 კ—მდე;

უბრალო მუშებისთვის 8 მან. 80 კაპ.—9 მანეთამდე;

შეგირდებისთვის 3 მან. 50 კაპ.—6 მან. 70 კაპ.

დარაჯებისა, მეეზოვეებისა, მეჯინიბეებისა და მეკარეებისთვის თვიური ჯამაგირში დადაწესებულია 1550 მან.

კონტორის მოსამსახურეთათვის თვიურათ —1550 მანეთიდან 2050 მანეთამდე.

**II სახალხო გვარდიის მთავარ შტაბისა.**

პირველ და მეორე კატეგორიის მუშებისა, დარაჯებისა, შიკრიკებისა და სხვათათვის თვეში—900—1000 მანეთამდე ტანისამოსით და სრული ჭამა-სმით; მე-3 და მე 4 კატეგორიის—(გადამწერები, რეგისტრატორები, კონტორის მოსამსახურენი და სტატისტიკოსები) —1250 მან.—1400 მან.

ტყავის მჭრელები, მკერვალები და მეჩექმეები თვეში ღებულობენ 1250—1400 მან. ტანისამოსით და სრული ჭამა-სმით.

დანარჩენ 7 კატეგორიის მოსამსახურენი თვიურათ უნდა ღებდენ 1550—3500 მან. მაგრამ ის მოსამსახურენი, რომელთა ჯამაგირი 2500 მან. არ აღემატება თვიურათ, ღებულობენ ჯამაგირის გარდა მხოლოდ კერძს.

**III. პოლიგრაფიულ წარმოებისა.**

თვიური ჯამაგირი დაწესებულია 1800—3000 მან.

**IV. საქართველოს კოოპერატივთა ცენტრალური კავშირის.**

თვიური ჯამაგირი დარაჯებისა, მოახლე ქალებისა, მეეზოვეებისა და „ბიჭისათვის“ 1680 მან. სხვა მოსამსახურეთათვის 2940—3640 მანეთამდე.

**V. ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტისა.**

მოსამსახურეთათვის 1610—4450 მან. შეშის საწყობის მოსამსახურეთათვის 1610 -3500 მ.

**VI. ელექტრონის სადგურების.**

1 კატეგორიის სადგურების 1780—3600 მ. მეორე კატეგორიის 1550—3400 მან., შეგირდებისთვის 850—1340 მან., ამას გარდა მუშები ღებულობენ ტანისამოსის შესაძენათ წლიურად 300 მან. თვიურად ცოლშვილიანები—50 მან. და უცოლონი—30 მანისთვის და 40 მან. სინათლისას.

**VII. მემანქანეთა ხაზოვადოების.**

თვეში 1680—3500 მან.

**VIII. კოოპერატივთა კავშირის და კოოპერატივებისა.**

თვიური ჯამაგირი 1600—3000 მან.; „ბიჭები“ ღებენ 1100 მან.

**IX. ფოსტა ტელეგრაფის უწყების.**

თვიური ჯამაგირები: 3415 მანეთიდან (ოლქის უფროსი) 1225 მანეთამდე (დარაჯები და მეეზოვეები). შეგირდები 400—1250 მანეთი თვეში.

**X. შინა მოსამსახურენი.**

მეეზოვეები და მეკარეები—850 მან. მზარეულები: 1 კატეგორიის—1050 მან., მე-2 კატეგორ.— 450 მან. მზარეული ქალები: 1 კატეგორიის—450 მ.ნ. და მე 2 კატეგ.—250 მ. მოახლე ქალები: 1 კატეგორიის—300 მან., მე-2 კატ.—200 მან. მარტო ერთი მოახლე—200 მან. უწლოვანები (15 წ.—18 წ.)—150 ლაქიები—600 მან.

უცხო ენების მცოდნე ბონა—700 მან., ენების არ მცოდნე—350 მან.

ძიძა—350 მან., აღმზრდელი—200 მან. მრეცხავები—600 მან., დღიურათ—30 მან.

მეეზოვეებისა და მეკარეების გარდა ყველა კატეგორიების მოსამსახურენი საჭმელ-სასმელს სავსებით დამქირავებლისაგან ღებულობენ.

ამას გარდა დამტკიცებულ იქნა 30 სხვა წარმოება-დაწესებულების ტარიფი, რომელიც უდრის 1000—4000 მან. თვეში.

# შესწორება

ქართულ ლატარიის მოგებულ ბილეთების ნუსხაში, რომელიც დაიბეჭდა ჩვენი გაზეთის №№ 259, 260, 261, 262, შემდეგი შესწორება შესატანი.

უნდა იყოს დაბეჭდილი:

გაზ. „საქართ. რესპუბ.“ № 259.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სერია | 68 | ბილეთის | № 116 | მოგება | 100 მან. |
| „ | 80 | „ | № 292 | „ | „ |
| „ | 76 | „ | № 59 | „ | „ |

გაზ. „საქართ. რესპ.“ № 260.

მე 14 სტრიქონში უნდა იყოს სერია 123.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სერია | 127 | ბილეთის | № 367 | მოგება | 100 მან. |
| „ | 133 | „ | № 412 | „ | „ |
| „ | 169 | „ | № 41 | „ | „ |
| „ | 193 | „ | № 414 | „ | „ |

გაზ. „საქართ. რესპ.“ № 261.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სერია | 219 | ბილეთის | № 386 | მოგება | 250 მან. |
| „ | 221 | „ | № 167 | „ | „ |
| „ | 221 | „ | № 445 | „ | „ |
| „ | 222 | „ | № 132 | „ | „ |
| „ | 224 | „ | № 94 | „ | „ |
| „ | 282 | „ | № 159 | „ | 100 მან. |
| „ | 284 | „ | № 154 | „ | 250 მან. |
| „ | 291 | „ | № 486 | „ | 100 მან. |
| „ | 298 | „ | № 437 | „ | „ |
| „ | 298 | „ | № 152 | „ | „ |
| „ | 303 | „ | № 82 | „ | 250 მან. |
| „ | 303 | „ | № 119 | „ | 100 მან. |
| „ | 315 | „ | № 139 | „ | „ |
| „ | 318 | „ | № 299 | „ | „ |
| „ | 324 | „ | № 347 | „ | 250 მან. |

გაზ. საქართ. რესპ. № 262.

სერია 366 ბილეთის № 401 მოგება 100 მან.

## 10.000 მანეთის მოგება.

**ქართული ლატარია**

10,000 მანეთი მოიგო აბრამ არუთინიანცმა.

# უცხოეთი

(საქ. დეპ. სააგ.).

**მოსკოვი,** ნოემბრის 18. ცენ. აღმ. კომ. ბ. ბ. ბიულეტენი. **სამხედრო ცნობა.** ნოემბრის 18. არხანგელსკის მიმართულებით მტრის ჯავშნიანი მატარებელი უშედეგოთ მოქმედებს. ფინეთის ყურის რაიონში ჩვენი ჯარი მდინარე ლუგაზე გადავიდა. ნარვის მიმართულებით იამბურგის დასავლეთით ბრძოლა გრძელდება. ნარვის სამხრეთით 25 ვერსზე ჩვენმა ჯარმა სოფლები დაიჭირა. რკინის გზის რაიონში და მდ. ნარვის სათავეში ბრძოლაა. წამოვიყვანეთ 55 ტყვე. დასავლეთ დვინაზე მზვერავები მოქმედებენ. კიევის რაიონში მდგომარეობა უცვლელია. ჩერნიგოვის რაიონში ჩვენ შეტევას განვაგრძობთ. ლგოვის მიმართულებით სადგ. კასტარნოეს და სადგ. სუკოვნიკანის რაიონში ჩვენმა ცხენოსანმა რაზმმა მტრის ცხენოსნები დაამარცხა. ხელში ჩაიგდო ორი ჯავშნიანი მატარებელი, ერთი ჯავშნიანი ავტომობილი, ორი ეშელონი ვაგონებისა ყუმბარებით და სხვა მრავალი ქონება. ბობროვის და კალაჩის მიმართულებით ჩვენი შეტევა გრძელდება. ნოვო-ხოპერის სამხრეთ დასავლეთით 25—28 ვერსზე ჩვენ მთელი რიგი სოფლებისა დავიჭირეთ. დონსა და ვოლგას შუა ლოზნოის დასავლეთით და დუბოვკის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენ რამდენიმე პატარა სოფელი ავიღეთ.

ყიზილიარის მიმართულებით ჩვენ ტალოვსკაია დავიჭირეთ. წამოვიყვანეთ 100 ტყვე, ხელში ჩავიგდეთ 170 თოფი და სხვა ქონება. ურალსკის რაიონში ურალსკ-ლბიშჩენსკის დასავლეთით 50 ვერსზე შეტევის დროს ხელში ჩავიგდეთ 3 ტყვიის მფრქვეველი. ომსკის რაიონში ჩვენი მამაცი ჯარი კოლჩაკის არმიის დარჩენილ ნაწილებს აღმოსავლეთისკენ სდევნის. ციმბირის რკ. გზის რაიონში დავიჭირეთ ნაზიროვკა 776 ვერსის სადგური სეროპაატსკოე, სკორობოგატოვო და ნეკრასოვო. 776 ვერსის სადგურის აღების დროს ჩვენ წამოვიღეთ 11 ზარბაზანი, 1.500,000 ყუმბარა, 1 მილიონი პატრონა სანიტარული მატარებელი და სხვა ქონება. დამატებითი ცნობების თანახმად ომსკის დაჭერის დროს ჩვენ წამოვიყვანეთ ტყვეთ 10 გენერალი, 100 ოფიცერი, ხელში ჩავიგდოთ 80 ორთქმავალი, რომელთაგან 40 სრული საღია, 3 ათასი ვაგონი, ტოპოგრაფიული განყოფილება და სხვა ქონება.

**ნაუენი.** ნოემბრის 17. საფრანგეთში მყოფ გერმანიის 400,000 სამხედრო ტყვეების სამშობლოში გამგზავრების დაგვიანების გამო ბერლინში დიდი საპროტესტო მიტინგი გაიმართა.

**ლონდონი.** ნოემბრ. 12. ლოიდ ჯორჯმა სთქვა: „ჩვენ არ შეგვიძლია განვაგრძოთ რუსეთის სამოქალაქო ომში დაუსრულებლივ ჩარევა. მისი სიტყვით, რუსეთი წარმოადგენს ქვიშას და თუმც იქ გამარჯვებას ადვილად ალწევენ, მაგრამ იქ შეიძლება „გამარჯვებაში ჩაიხრჩობა“.

**რეველი** ნოემბრ. 16. ცნობა, იმის შესახებ, ვითომ ფინეთი მოკავშირეების დახმარებით პეტროგრადზე შეტევაში მონაწილეობას მიიღებსო, ოფიციალურად უარყოფილია.

**მოსკოვი,** ნოემ. 18 „პრავდა“-ს წერილში სათაურით: „პრინცების კუნძულის“ სწერს: „დამარცხების მომენტში იმპერიალიზმი ლაპარაკობს შერიგებაზე, გამარჯვების ხანაში კი რევოლუციაზე შეტევას აწარმოებს, მაგრამ რევოლიუციონური პროლეტარიატის პოლიტიკა არ იცვლება.

# სხვა და სხვა.

◆ დღეს, საღამოს 7 საათზე, სამეურნეო ბანკის ბინაზე ქ. შ. წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარი გამგეობის მიერ მოწვეულია კრება, რომლის მსჯელობის საგანს შეადგენს ქართული შრიფტის შესწორებისა და შემუშავების საკითხი. მოწვეულნი არიან შემდეგი დაწესებულებათა წარმომადგენელნი. 1. სახალხო განათლების სამინისტრო 2. სახელმწიფო უნივერსიტეტის საბჭო, 3. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, 5. დამფუძნებელი კრების სახალხო განათლებისა და ხელოვნების კომისიები, 6 ქართველ ხელოვანთა საზოგადოება, 7 და 8) ერობათა და ქალაქთა კავშირები, 9 და 10) დაბალ და საშუალო სკოლების მასწავლებელთა კავშირები, 11) ქართველ მწერალთა საზოგადოება, 12) ქართული დრამატიული საზოგადოება, 13 და 14) ასოთ-ამწყობთა და მესტამბეთა კავშირები,, 15) რედაქციები: „ერთობის“, 16) „სახალხო საქმის“, 17) „ივერიის“, 18) „კლდის“ 19 „ობნოვლენიის“ და სხვა მცოდნე კერძო პირები. სასურველია ამ კრებას მოუშვევლად დაესწრონ ყველა დაინტერესებული პირნი.

◆ საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების არაჩვეულებრივი კრება. პარასკევს, 21 ნოემბერს საღამოს 7 საათზე, ფრეილინის ქუჩ, № 11 (სავაჭრო-სამრეწველო პალ.) შედგება საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების არაჩვეულებრივი საზოგადო კრება, რომელზედაც განხილულ იქმნება სტუდენტების საზღვარ-გარედ გაგზავნის საკითხი. საჭიროა საზოგადოების ყველა წევრები დაესწრონ.

◆ 14 ნოემბერს მორიგ კრებაზედ გამგეობის თავმჯდომარემ ბ. კ. ანდრონიკაშვილმა საყურადღებო და საქმიანი მოხსენება გააკეთა. გადასცა მან ქალაქის მოურავს, ბ. ჩხიკვიშვილს, ერობას, სოც. დემ. ფრაქციას, დამფ. კრების ხელოვნების კომისიას სმეტა 1919—1920 წ. და მან მოკლეთ გააცნო მათ ქ. სამ. საზ-ბის ისტორია და მომავალი პროგრამა. ყველამ ერთხმად აღუთქვეს თანაგრძნობით დახმარება. ბ. არსენიძემ აღნიშნა მიზნის მიღწევა გამგეობის მხრივ და თქმა არ უნდა, შკოლა გადაკეთდება ქართ. კონსერვატორიათ და მიეცემა ყოველი უფლებები.

◆ დაიბეჭდა და გასაყიდათ გამოვიდა. 1: ს. იაშვილის „მოკლე სახელმძღვანელო საზოგადო გეოგრაფიისა: აზია, აფრიკა, ამერიკა და ავსტრალია“—ფასი 27 მანეთი., 2 და 3, ვ. ხრამელაშვილის“ არითმეტიკული ამოცანებისა და რიცხვთა მაგალითების კრებული I და II ნაწილი—ფასი 17 მანეთი. ორივე წიგნი ქ. შ. წერა კითხვის გამავრც. საზოგადოების გამოცემაა, დაბეჭდილია სუფთათ და ლამაზათ.

◆ 16 ნოემბერს დღის 3 საათზე ოვანეს ზარგარიანცის ბინიდან ვორონცოვის ქუჩა № 120 ბოროტგამზრახველებმა გაიტაცეს ფულათ 21, 669 მანეთი და ძვირფასი ნივთები 100,000 მანეთის ღირებული. მე-5 უბნის გამომძიებელმა პატარიძემ ენერგიული ზომების მიღებით აღნიშნული ფული და ნივთები უპოვა, აღმოაჩინა სასტუმრო „ორბიზში“ და დამნაშავე გურგენ პოლოსიძე სტეფანიანცი დააპატიმრა და სათანადო ოქმით გადასცა მე-5 უბნის გამომძიებელს.

◆ 10 ნოემბერს ვ. ა. ნიკიტინას ბინიდან ერთ სტუმართაგანს მოუპარავს ოქროს ქამარი, ღირებული 40,000 მან. სისხლ. სამ. მილიციამ აღმოაჩინა ქურდი მ. ტ. გლადნოვა, რომელსაც ქამარი აღმოაჩნდა. დაკითხვა გადაეცა მე-2 უბ. გამომძიებელს, და დაპატიმრებული აგლადნოვა თავდებით განთავისუფლდა.

## განცხადებანი

ტფილისის ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებამ სისრულეში მოსაყვანათ დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი ვალერია მოსეს ძე ცატუროვის, გარდაცვალებულის 1919 წ. აგვისტოს 24-ს.

0201 1—1

ტფილისის ოლქ. სასამ. სამოქ. განყოფილება სისრულეში მოსაყვანათ დაამტკიცა შინაური ანდერძი კონსტანტინე სტეფანეს ძე არარატიანცის, გარდაცვ. 1918 წ. აგვისტოს 12-ს

0200 1—1

ტფილისის ოლქ. სასამ. სამოქ. განყ. სისრულეში მოსაყვანათ დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი ბეატი ივანეს ასულის მაკერის, გარდაცვალებულის 1919 წ. დეკემბრის 24 ს

0199 1—1

კარაპეტ არუთინის ძე ტევანიანცი აცხადებს, რომ მან დაკარგა პასპორტი № 93, აღებული 1913 მარტის 4 კიხილ,-კოჩის სოფლის საზოგადოებიდან (ალექსანდროპოლის მაზრა). პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს.

116 3—3

ანდრო ივანეს ძე აბაშიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა, მიღებული მეხუთე ვაჟთა გიმნაზიიდან, მისი იქ სამსახურის შესახებ, აღებული 24 ოქტომბერს 1919 წ. № 513 და ჩაითვალოს გაუქმებულათ.

127 3—3

დაკარგულია მატრიკული № 748 აღებული სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიიდან დავით ბედრიძეს მიერ. რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს.

131 3—3

გრიგოლ სიმონის ძე კუნჭულია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მატრიკული მიღებული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მატრიკული გაუქმებულათ ითვლება.

130 3—3

უსაბუთო ბაგაჟი: აქტი სადგ. ტფილისი № 2370-რიგ. № 568- 1ც-5ფ-ტვირთი: ბორჟომიდან-ტფილისი, რიგ. № 652 სატვ. ბარ. № 99638-16 ც. ცარიელი ბოჩკები წონ 32 ფ. ბორჟომიდან ტფილისი, რიგ. № 648 სატვ. ბარ. № 99516 21ც. ცარიელი ტომრები-28ფ. 30 გ.

102 3—3

გერასიმე ჯიშკარიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, მიღებული თელავის სამხედრო უფროსისაგან 1917 წ. მოწმობა გაუქმებულად ითვლება.

145 3—2

ქ. ტფილისის მესამე უბნის გამომძიებელი აცხადებს, რომ მარიამ ფილიპეს ასული კოკოჩაშვილი, რომელსაც ბრალდებოდა ვერა რიმსკაია-კორსაკოვას ნივთების მოპარვა, დამნაშავე არ აღმოჩნდა. ის პასუხისგებაში არ არის და განთავისუფლებულია.

დაკარგულია ქუთაისის რეალურ სასწავლებლის კანცელარიიდან გიორგი ლეშკაშელის მიერ აღებული ატესტატი და შვიდი კლასის გათავების მოწმობა, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს.

137 3—1

პარასკევს, 1919 წ. ნოემბრის 21 დღის 12 საათზე ქ. თვითმართველობის საიჯარო განყოფილების მიერ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქალაქის „ბუდკის“ იჯარით გაცემაზე (ალექსანდროვის ბაღის ქვემო ნაწ.) პირობების გაგება შეიძლება თვითმართველობის საიჯარო განყოფილების კანცელარიაში, ყოველ დღე 2-3 საათ., გარდა უქმეებისა.

134 3—2

კონსტანტინე ალექსანდრეს ძე დანდუროვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული სოფ. ახალქალაქის ერობის გამგეობიდან და სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა მიღებული მე 5 ქართული ათასეულის კანცელარიიდან. საბუთები გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს.
138 3—2

შინაგან საქმეთა სამინისტროდან გაცემული არონ სვიმონის ძე თაღდიდიშვილის სახელზე საზღვარ-გარეთის პასპორტი № 1567 დაკარგულია, ჩაითვალოს გაუქმებულათ.
149 3—2

დაკარგულია სანიტარულ გადასახადის კვიტანცია № 7172, აღებული ნოემბრის 5 ს, სულ 8000 მანეთის ღირებულებისა, რომელიც გაუქმებულად ჩაითვალოს. 3—2

ივანე ტატოს ძე მელაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 6150, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 143 3—2

ალექსანდრე ალექსის ძე შახპარონოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, აღებული ბორჯომის კომისარიატიდან, რომელიც გაუქმებულად ჩაითვალოს. 141 3—2

დავით მიხეილის ძე ფირალიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი აღებული ტფილისის ყოფილ პოლიცმეისტრის კანცელარიიდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს.
152 3—2

გიორგი გურგენ ოღლი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მეტრიკული მოწმობა მიღებული ტფილისის სინოდის კონტორიდან და პასპორტი მიღებული ტფილისის მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან. საბუთები გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს.
150 3—2

კონსტანტინე გიორგის ძე ლვამიჩავა აცხადებს, რომ დაჰკარგა უვადო პასპორტი მიღებული ტფილისის პოლიცმეისტრის კანცელარიიდან № 6666. პასპორტი გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს.
153 3 2

მარკოზა სიმონის ძე ჯულაღიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი და მეტრიკული მოწმობა, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს.
139 3 2

დაკარგულია პასპორტი № 485 აღებული 20 I 1919 წ. ეკატერინეფელდის სასოფლო სამმართველოდან ალექსანდრე სტეფანის ძე მარტიროსიანცის მიერ, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 140 3—2

დავკარგე ორი მოწმობა მიღებული ტფილისის ნთავარ საბაჟოში მიღებული ნათუმიდან წამოღებული საქონლების და 6 მწიფოებისთვის № 7224 და 8919 მპოვნელს ვთხოვ დამიბრუნოს და შესაფერი გასამრჯელოც მიიღოს ბეთუმი მიხაილოვის ქუჩა საწყობი „კავშირთა კავშირი“ 148 3—2

დაკარგულია ვადიანი თანხის კვიტანცია № 25721 (24) ს. აღებული საერთოშორისო კომერციული ბანკიდან მუსტაფა ზაქარია-ოღლი კულიევის მიერ 1916 წ. 20 სექტემბერს, რომელიც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.
120 3—2

დაკარგულია, ქუთაისის რეალურ სასწავლებლის კანცელარიიდან აღებული გიორგი დავითის ძე ლეშკაშელის მიერ ატესტატი და შვიდი კლასის გათავების მოწმობა, რომელიც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს.
137 3—2

1918 წ. მარტის 16-ს ტფილ. ოლქ. სას. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქ. მიხეილ დიმიტრის ძე ჯავახიშვილმა 100000 მან. მიჰყიდა ოვანეს ხიპოს ძე ტერ-ოსხანოვს მიწის ნაჭერი, ზომით 146,18 კვ. ს., მდებარე ქ. ტფილისის მე-4 უბ. სურფ ნიშანის ქ. № 325.
გადახდილია: საქტო—3 მ., განცხ.—1 მ. 50 კ., გადასაწ.—60 კ., სიმტკიცის 4000 მ.
მთავარი ამონაწერი 500 მ. ღირებულების სიღერბო ქაღალდზე მიცემულია.
326 1—1

პელაგია თეოდოსეს ასული ბიჩვაია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ქ. ფოთის ქალაქის გამგეობიდან № 1919 წ. პასპორტი გაუქმებულათ ითვლება.
147 3.2

1918 წ. მარტის 12 ს ტფილისის ოლქ. სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქ. გიორგი იაკობის ძე კუხიევმა 200 მ. მიჰყიდა იოსებ სოლომონის ძე კუხიანცს მიწის ნაჭერი, ზომით 21,5 კვ. ს., მდებარე ქ. ტფილისის მე-3 უბანში ქალ. № 504 და 503.
გადახდილია: საქტო—3 მ., განცხ.—1 მ. 50 კ., გადასაწ.—60 კ., სიმტკიცის 12 მან.
მთავარი ამონაწერი 1 მ. 50 კ., ღირებულების სიღერბო ქაღალდზე მიცემულია.
326 1—1

1918 წ. მარტის 17 ს ტფილისის ოლქ. სას. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ივანე ფილატეს ძე დვორცოვმა 7000 მ. მიჰყიდა სულეიმან ალა კერბალაი აბდულ ოღლის მიწის ნაჭერი, ზომით 150 კვ. ს., მდებარე საგაბაშვილო თხინვალში ქ. ტფილ. 1 უბ.
გადახდილია: საქტო—3 მ., განცხ.—1 მ. 50 კ., გადასაწ.—60 კ., სიმტკიცის 280 მ.
მთავარი ამონაწერი 35 მ. ღირებულების სიღერბო ქაღალდზე მიცემულია. 326 1—1

1918 წ. მარტის 22-ს ტფილისის ოლქ. სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქ. დარჩო ოჰანეზის ძე აპრეხოვმა 20000 მ. მიჰყიდა გევორქ ხაჩატურის ძე გევორქიანცს მიწის ნაჭერი, ზომით 350 კვ. ს., მდებარე ქ. ტფილისის მე-6 უბ. კახეთის და ალავერდის ქ., ქალ. № 258.
გადახდილია: საქტო—3 მ., განცხ.—1 მ. 50 კ., გადასაწ.—1 მ. 20 კ., სიმტკიცის 2140 მან. 80 კ.
მთავარი ამონაწერი 270 მან. ღირებულების სიღერბო ქაღალდზე მიცემულია.
326 1—1

1918 წ. იანვრის 18 ს, ტფილისის ოლქ. სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ტროფიმ ივანეს ძე პროხოროვმა 700 მ. მიჰყიდა დიმიტრი ივანეს ძე ლოლაძეს მიწის ნაჭ., ზომით 1200 კვ. ს., მდებარე აგარაკ „დიდება“-ში ტფ. გუბ.
გადახდილია: საქტო—3 მ., განცხ.—9 მ 50 კ. გადასაწ.—60 კ., სიმტკიცის 28 მ.
მთავარი ამონაწერი 3 მ. 50 კ. ღირებულების სიღერბო ქაღალდზე მიცემულია.
295 1—1

1918 წ. იანვრის 10 ს ტფილ. ოლქ. სას. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ვასილ მიხეილის ძე და ცოლმა მისმა ანა გიორგის ასულმა დათიშვილებმა 1800 მ. მიჰყიდეს დავით კონსტანტინეს ძე ბეჟანაშვილს მიწის ნაჭერი შენობებით, ზომით სიგრძ. სამხრ.—31 საჟ. ჩრდ. 25 ს. 1 არ., სიგან. აღმ.—6 ს. და და საჟ.—9 ს. 2 არ. 12 ვერ., მდებარე ქ. თელავში ტფილ. გუბ. ქალაქ. № 472.
გადახდილია: საქტო—3 მ., განცხ. 1 მ. 50 კ., გადასაწ. 1 მ. 20 კ., სიმტკიცის 72 მ.
მთავარი ამონაწერი 9 მ. ღირებულების სიღერბო ქაღალდზე მიცემულია. 295 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 18 მარიამობისთვეს 1919 წ. დამტკიცდა 17 მაისს 1918 წ. შესრულებული ნასყიდობა, მიცემული ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის გამგეობის მიერ აქვსენტი და იასონ ამბაკოს ძენი კუტურმიძეებზე ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ფოთში, სინიაკოვის ქ. კუთხეში.
შენობები ზომით 400 კვ. საჟ., 5057 მან. 38 კაპ.
სიმტკიცის ბაჟი გადახდილია 800 მან.
მთავარი ამონაწერი 200 მან. ღერბის ქაღალდზე მიცემულია. 2038 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 18 აგვისტოს 1919 წ. დამტკიცდა 12 ნოემბერს 1918 წ. შესრულებული ნასყიდობა მიცემული ბარბალე ქრისტეფორეს ასული სხილაძის მიერ ივანე ნიკოს ძე სხილაძეზე ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ქუთაისში, წყალგალმა პოლიციის ნაწილში. მესხეთის ქუჩაზე.
შენობები ზომით 300 კვ საჟ 300 მან.
სიმტკიცის ბაჟი გადახდილია 12 მან.
მთავარი ამონაწერი 3 მან. ღერბის ქაღალდზე მიცემულია. 2040 1—1

კარაპეტ პოღოსის-ძე ტონოიანცი აცხადებს რომ მან დაკარგა პასპორტი აღებული სოფ. ბაზაზარამი საზოგადოებიდან (ეჩმიაძინის მაზრა). პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს.
167. 3—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 18 აგვისტოს 1919 წ. დამტკიცდა 17 მაისს 1918 წ. შესრულებული ნასყიდობა მიცემული ტფილისის სათავად აზნაურო საადგილ მამულო ბანკის გამგეობის მიერ სიმონ ტატიევის ძე სარიაზე ნაკვეთი მიწისა მდებარე ქალ. ფოთში დიდ კუნძულზე ისტომინის და ვორონცოვის ქუჩის კუთხეში.
შენობები ზომით 150 კვ. ს. 6141 მ. 15 კ.
სიმტკიცის ბაჟი გადახდილია 1200 მან.
მთავარი ამონაწერი 300 მან. ღერბის ქაღალდზე მიცემულია. 2039 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 10 ოქტომბერს 1919 წ. დამტკიცდა 6 ენკენისთვეს 1919 წ. შესრულებული ნასყიდობა მიცემული დავით და ერასტი ფარნაოზის ძენი მხეიძეების მიერ გიორგი კონსტანტინეს ძე ცაავას ნაკვეთი მიწისა მდებარე ქ. ახალსენაკში, რუსთაველის და აკაკის ქუჩის კუთხეში.
შენობები ზომით $18\ ^{45}/_{64}$ კვ. ს. 90,000 მ.
სიმტკიცის ბაჟი გადახდილია 3600 მან.
მთავარი ამონაწერი 900 მან. ღერბის ქაღალდზე მიცემულია. 2047 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 12 აპრილს 1919 წ. დამტკიცდა 6 აპრილს 1919 წ. შესრულებული ნასყიდობა მიცემული ნიკოლოზ ტრიფონის ძე ლომსიანიძეს და იოსებ გრიგოლის ძე ფულარიას მიერ დიმიტრი გრიგოლის ძე გვაზავაძეზე და ნიკოლოზ ფირანის ძე ასათიანზე ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ქუთაისში ადგილობრივ კახიანოურში.
შენობები ზომით $1032\ ^{660}/_{100}$ კვ. საჟენი 8000 მან.
სიმტკიცის ბაჟი გადახდილია 320 მან.
მთავარი ამონაწერი 40 მან. ღერბის ქაღალდზე მიცემულია. 2043 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 24 მაისს 1919 წ. დამტკიცდა 25 თებერვალს 1919 წ. შესრულებული ნასყიდობა მიცემული მოქ.—ალექსანდრე გიორგის ძე მიმინოშვილის მიერ ივანე გიორგის ძე ჩიტანავაზე ნაკვეთი მიწისა მდებარე ქ. ფოთში დიდ კუნძულზე.
შენობები ზომით 200 კვ. ს. 2000 მან.
სიმტკიცის ბაჟი გადახდილია 80 მან.
მთავარი ამონაწერი 9 მ. ღერბის ქაღალდზე მიცემულია. 1896 1—1

1918 წ. მარტის 17-ს ტფილ. ოლქ. სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც სპარსეთის ქვეშევრდომმა კიუჩარ სალიმ კიზამ 1800 მ. მიჰყიდა სტეფანე ოსიპის ძე ვეზირიანს და არტაშეს ამბარცუმის ძე მატინიანცს მიწის ნაჭერი, ზომით 54 კვ. ს. მდებარე ქ. ტფილისის 1 უბანში, ქალაქ. № 1505.
გადახდილია: საქტო—3 მ., განცხ.—1 მ., 50 კ., გადასაწ.—1 მ. 20 კ., სიმტკიცის—72 მან.
მთავარი ამონაწერი 9 მ. ღირებულების სიღერბო ქაღალდზე მიცემულია.
326

1918 წ. მარტის 19 ტფილ. ოლქ. სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც გაბრიელ, იგივე დემიერ დავითის -ე პანუჯანოვმამეკოვმა და ქვრივმა ეკატერინე პავლეს ასულმა პანუჯანბეკოვმა 13000 მ. მიჰყიდეს ვასილ მიხეილის ძე ედგარიანცს 1 გაბრიელ პარუნჯანოვმა მიწ. ნაჭერი $^1/_2$, ზომით 20 ს. 2 არშ. კვ., და ეკატერინე პარინჯანოვმა მიწის ნაჭერი, ზომით 74 კვ. ს. მდებარე ქ. ტფილისის მე-5 უბ., ქალ. № 405.
გადახდილია: საქტო 3 მ. განცხ. 1 მ. 50 კ. გადასაწერი 1 მ. 20 კ. სიმტკიცის 520 მ.
მთავარი ამონაწერი 65 მ. ღიერბულების სიღერბო ქაღალდზე მიცემულია.
336

1918 წ. მარტის 17-ს ტფილ. ოლქ. სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მიხეილი და ნესტორ ანტონის ძეთ ჩიკვაძეებმა 600 მ. მიჰყიდეს ანდრია ზაქარიას ძე ასლამაზაშვილს მიწის ნაჭრის ნახევარი ზომით 180 კვ. ს, მდებარე ქ. ტფილისის მე 11 უბანში ქალ. № 380 ა.
გადახდილია: საქტო 3 მ. განცხ. 1 მ. 50 კ., გადასაწ. 1 მ. 20 კ. სიმტკიცის 72 მან.
მთავარი ამონაწერი 9 მ. ღირებულების სიღერბო ქაღალდზე მიცემულია.
326

1918 წ. მარტის 21 ს ტფილისის ოლქ. სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქ. გრიგოლ ვასილის ძე [illegible] 9355 მ. მიჰყიდა [illegible] დავითის ძე გორელიშვილის უძრავი ქონება, რომელიც შეიცავს მიწის ნაჭერს შენობებით ზომით 60 კვ. ს., მდებარე ქ ტფილისის მე-5 უბ. ქალ. № 39.
გადახდილია: საქტო 3 მ., განცხ. 13.50 კ. გადასაწ. 1 მ. 20 კ. სიმტკიცის 374 მ. 20 კ.
მთავარი ამონაწერი 470 მან. სიღერბო ქაღალდზე მიცემულია.
326

სოხუმის ოლქ. სასამ. სამოქალაქო განყოფილებამ სისრულეში მოსაყვანათ დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი პელაგია დიმიტრის ასულის შენგელიას.
1969 1—1

ტფილ. ოლქ. სასამ. 1919 წ. მაისის 23-ს სისრულეში მოსაყვანათ დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი სტეფანე ნაზარეტის ძე ალიხანოვისა. 1933 1-1

ტფილისის ოლქ. სასამ. პირველმა სამოქ. განყოფ. სისრულეში მოსაყვანათ დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი პელაგია გაბრიელის ასულის კოლესნიკოვასი 1919 წ. ივლისის 21
1278

სოხუმის პირველი სამომრიგებლო უბნის მოსამართლე სამ. კან. წესდ. მე 846 მუხლ. ძალით ეძებს ქ. სოხუმში დროებით მცხოვრეალექსანდრე ვასილის ძე ორლოვს, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დებ. მე-169 მუხ. ძალით
ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ორლოვი, ვალდებულია განუცხადოს მომრ. მოსამართლეს.
1592 1—1

სიმონ სიმონის ძე არეშკინი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული სოფ. მანგლისის სოფლის სამმართველოდან და ტყვეობიდან განთავისუფლების მოწმობა. საბუთები გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.
151 3—2

იაკოფ არონის ძე გურულაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა შემდეგი საბუთები: 1) მეტრიკული მოწმობა მიღებული ქართველ ურიათა საზოგ. რავინისგან; 2) პასპორტი მიღებული ტფილისის მილიციის სკმართველოდან და 3) აქსტაფის საბაჟოდან მიღებული კვიტანცია. საბუთები გაუქმებულად ჩაითვლება.
163 3—1

ვაგაშაკ გარაპეტის-ძე გეორქიანც აცხადებს რომ მან დაკარგა პასპორტი, აღებული ალექსანდროპოლის ყოფ. პოლიცმეისტრის კანცელარიიდან· რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს.
165 3—1.

დაკარგულია მოწმობა № 170, აღებული სურენ ტერ ასატუროვის მიერ გზათა სამ. ავტომობილების სარეგისტრაციო განყოფილებიდან რომელის გაუქმებულათ ჩაითვალოს.
169 3—1

ნატალია დავითის ასული ხირსელი აცხადებს· რომ მან დაკარგა პასპორტი, ოფიცრების ეკონომიურ საზოგადოებიდან აღებული წიგნაკი (მაქ ვარიანის სახელზე აღებული) წიგნაკი და პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს.
170 3—1

ფარნა (ეკლაოზი) ლევანის ძე ხაინდრავა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, აღებული 1909 წ. სენაკის მაზრაში, რომელიც გაუქმებულად ჩაითვლება. 168 3—1

კარაპეტ სააკოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ქუჩაში ვაჭრობის ნებართვა მიღებული ტფილისის ქალაქის გამგეობიდან საბუთი გაუქმებულად ჩაითვალოს. 164 3—1

# გამოცდები
## ტეხნიკოსის ხარისხზე

იმათთვის, რომელთაც რკინის გზის ტეხნიკური სასწავლებელი აქვთ გათავებული, შესდგება ამა წლის 26 დეკემბერს ტფილისის პოლიტეხნიკურ სასწავლებელში, დიდი მთავრის ქ., № 70.
138

სტამბა საქართველოს მთავრობის.
დროებითი რედაქტორი ვიქტორ ნოზაძე